პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 1942 წ. № 184 (6500). ფასი 15 კაპ.

გზა გადავუღობოთ მტერს!

არც ერთი ნაბიჯი უკან! — ასეთია სამშობლოს მოწოდება ყველა მეთაურისა, წითელარმიელისა და პოლიტმუშაკისადმი, ასეთია მოთხოვნა ყველასადმი, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი სამშობლოს ინტერესები.

ეს მოთხოვნა რომ შევასრულოთ, საჭიროა შეუპოვრად, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დავიცვათ თითოეული პოზიცია, თითოეული მეტრი საბჭოთა ტერიტორია, მაგრად ჩავეჭიდოთ ყოველ ნაჭერ მშობლიურ მიწა-წყალს და უკანასკნელ შესაძლებლობამდე დავიცვათ იგი. არც ერთი ნაბიჯი უკან, თუ უმაღლესი სარდლობის ბრძანება არ იქნება—ასეთია დისციპლინის რკინის კანონი ყოველი მეთაურისა, წითელარმიელისა და პოლიტმუშაკისათვის. შევინარჩუნოთ ჩვენი ზღუდეები, მედგრად ვიბრძოლოთ ყოველი მტკაველი საბჭოთა მიწა-წყლისათვის, გავტეხოთ მტრის შემოტევა—ეს იმას ნიშნავს, რომ უზრუნველვყოთ ჰიტლერელ დამპყრობთა შემდგომი განადგურება, უზრუნველვყოთ სამშობლოს გამარჯვება.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებო! საბჭოთა სამშობლო, საბჭოთა ხალხი თქვენ შემოგყურებთ, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს შეაჩეროს მტრის წინსვლა ვოლგისა და ყუბანისაკენ, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს უკუაქციოს და გაანადგუროს მტერი, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს მოიპოვოს გამარჯვება, რადაც უნდა დაგვიჯდეს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის—გამარჯვება თავისთავად როდი მოდის, იგი უნდა მოვიპოვოთ. გამარჯვება ომში უნდა მოვიპოვოთ სასტიკი ბრძოლებით, ამასთან ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე სამხედრო ტექნიკა და სამხედრო ხელოვნება.

მტერი არც ისე ძლიერია, როგორც პერსპექტივადაკარგულ ზოგიერთ პანიკიორს ჰგონია. გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი უკანასკნელ ძალებს ძაბავენ, უკანასკნელ რეზერვებს აბამენ ბრძოლაში. ისინი ანგარიშს არ უწევენ დიდ დანაკლისს და წინ მოძვრებიან, მოიწევენ საბჭოთა კავშირის სიღრმეში, ცდილობენ დაიპყრონ პურითა და მრეწველობით მდიდარი ახალი რაიონები. გავუძლოთ მათს დარტყმებს ამჟამად, უახლოეს რამდენიმე თვეს—ეს იმას ნიშნავს, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი გამარჯვება.

ჩვენ შეგვიძლია გავუძლოთ და კიდევაც უნდა გავუძლოთ მტრის დარტყმებს! ჩვენ შეგვიძლია უკუვაქციოთ და კიდევაც უნდა უკუვაქციოთ იგი დასავლეთისაკენ! ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ და კიდევაც უნდა უზრუნველვყოთ გამარჯვება! ჩვენი ქვეყანა ერთიანი სამხედრო ბანაკია. მოსახლეობის ყველაზე ცხოველმოქმედი ნაწილი თოფქვეშ დადგა, იგი გამსჭვალულია მისწრაფებით, რადაც უნდა დაგვიჯდეს, დაიცვას თავისი სამშობლო, დაამარცხოს საზიზღარი მტერი. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები ზურგში საუკეთესოდ მუშაობენ. მათი მუშაობის მეოხებით ფრონტს სულ უფრო და უფრო მეტი თვითმფრინავები, ტანკები, არტილერია, ნაღმსატყორცნები მისდის.

წითელ არმიას ჰყავს ბრძოლებში ნაწრთობი მეთაურთა შემადგენლობის კადრები. მათ წინაშე დგას ამოცანა — მარჯვედ გამოიყენონ ტექნიკა, რომელსაც მათ სამშობლო აძლევს, უკლებლივ ყოველივე გამოსწურონ ამ ტექნიკას მტერთან ბრძოლისათვის, მტერზე გამარჯვების მოწყობისათვის.

დიდი სამამულო ომის გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რა დიდია როლი მეთაურისა, რომელიც ბრძოლას აწყობს და წარმატებით აგვირგვინებს მას. სადაც მეთაური დისციპლინისა და ორგანიზებულობის მაგალითია, სადაც მისი სამხედრო ოსტატობა სისტემატურად გადაეცემა მებრძოლთ, სადაც მისი სიმტკიცე, ურყევი ნებისყოფა ვაჟკაცობისა და მამაცობის ნიმუშს წარმოადგენს,—იქ ადგილი არა აქვთ დისციპლინის დამრღვევთ, ადგილი არა აქვთ მხდალებსა და პანიკიორებს, ადგილი არა აქვთ მერყევ მებრძოლებს. სადაც მეთაური დისციპლინისა და ორგანიზებულობის მაგალითი არ არის, სადაც იგი სისტემატურად არ ასწავლის თავის ხელქვეითებს, არ უნერგავს მათ სიმტკიცის სულისკვეთებას,—იქ, ჩვეულებრივ, არ არის წესრიგი, არ არის დისციპლინა, არ არის ორგანიზებულობა და დარაზმულობა, არ არის საკმაო ბრძოლისუნარიანობა.

ომის გამოცდილება მოწმობს, რომ ჩვენ წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის ისეთი კადრები გვყავს, რომელთაც ნაწილისა და ქვეგანაყოფის სათავეში ყოფნისას შეუძლიათ უზრუნველჰყონ სამშობლოს მოთხოვნათა შესრულება, შეუძლიათ მოიპოვონ გამარჯვება საზიზღარ მტერზე.

ასეულის მეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა მენიაილოვმა მიიღო საბრძოლო ბრძანება—გაერეკა გერმანელები სოფლიდან, წაერთმია მათთვის მარჯვე პუნქტი, სადაც ისინი შემოტევას ამზადებდნენ. ამოცანა რთული იყო. მოწინააღმდეგეს სოფელში ასეულზე მეტი ძალა ჰყავდა. ამხ. მენიაილოვი ჩვენი თავდაცვის წინა კიდეზე გავიდა, პირადად გამოიკვლია სოფლის მდებარეობა, მისი მისადგომები. მან ადგილის დაწვრილებითი გეგმა შეადგინა და ის ოცეულთა მეთაურებს გააცნო. ბატალიონის მეთაურის ხელმძღვანელობით ასეულის რამდენიმე ტაქტიკური მეცადინეობა მოეწყო დღისითა და ღამით.

ამგვარად ჩატარებულმა მომზადებამ და მეთაურის ყველა მოთხოვნათა ზუსტმა შესრულებამ შესაძლებელი გახადა სრული წარმატებით განხორციელებულიყო საბრძოლო ამოცანა. მამაცი მეომრები ვერაფერმა ვერ შეაჩერა—ვერც კოკისპირულმა წვიმამ, ვერც ნაღმიანმა ველმა, რომლის გადალახვაც მოუხდა ასეულს, ვერც მტრის ძლიერმა ცეცხლმა. ასეულის მებრძოლნი სხვადასხვა მხრიდან შეიჭრნენ სოფელში და გრანატები დააყარეს სახლებს. იერიში იმდენად სწრაფი იყო, რომ მტერმა ვერ მოახერხა ხანგრძლივი წინააღმდეგობა მოეწყო, თუმცა მეტი ძალა კი ჰყავდა. შემტევი ოცეულების მარწუხში მოქცეული გერმანელები იძულებული გახდნენ იარაღი და საომარი მასალა მიეტოვებინათ და ტყისაკენ მოეკურცხლათ. ასეულმა სოფელი დაიკავა, დაუყოვნებლივ გამაგრდა, ჩასანგრდა და განაგრძო დაუცხრომლად თვალყურის დევნება მტერზე. და, როდესაც გერმანელებმა სოფელს არტილერიისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს, რაც ერთ დღე-ღამემდე გაგრძელდა პატარ-პატარა შესვენებით, მებრძოლებმა გაუძლეს ამ ცეცხლს მინიმალური დანაკლისით.

ამხანაგ მენიაილოვის მიერ ასეულისათვის გაწეულმა კარგმა მეთაურობამ, დიდმა საბრძოლო აქტივობამ, დისციპლინიანობამ და ყოველივე სიძნელის გადასალახავად მზადყოფნამ უზრუნველჰყო საქმის წარმატება.

ასეთი უნდა იყოს ჩვენი ქვეითი ჯარის ყველა მეთაური.

ტანკისტმა მაიორმა ხოპკომ ბრძანება მიიღო თავდაცვა დაეკავებინა და მტერი არ მიეშვა მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტთან. მტერს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა. ამხანაგმა ხოპკომ გადასწყვიტა მოეწყო რამდენიმე უძრავი საფარი, რომელთა ამოცანა უნდა ყოფილიყო უეცარი ცეცხლით შეჰგებებოდნენ მტერს, არევ-დარევა შეეტანა და მოძრავი რეზერვების ძალებით კონტრდარტყმა ეგემებინა მტრისათვის. ტანკისტებმა 70-კილომეტრიანი ლაშქრობა მოაწყეს და თავდაცვის რაიონში გავიდნენ. მაიორმა მხედველობაში მიიღო დასახული ამოცანა და ადგილი, და გასცა ბრძანება — რამდენიმე კილომეტრ ფართობზე ფრონტის გასწვრივ და სიღრმეზე განელაგებინათ ჯგუფ-ჯგუფად რამდენიმე საშუალო და მსუბუქი ტანკი, ამასთან მიწაში ჩაეფლოთ და შეენიღბათ ისინი. რამდენიმე კილომეტრის მოშორებით განლაგდა საშუალო და მძიმე ტანკების მოძრავი რეზერვი. ისინიც მიწაში იყვნენ ჩამალულნი. საფრებისა და რეზერვის ტანკებს შუა მეავტომატეები და არტილერისტები განლაგდნენ. გერმანელებმა ორი დღის განმავლობაში რამდენიმე იერიში მოიტანეს ამხანაგ ხოპკოს მიერ მოწყობილი თავდაცვის წინააღმდეგ, მაგრამ წარმატება არა ჰქონიათ. მათ 104 დაზიანებული მანქანა დასტოვეს ბრძოლის ველზე და თავიანთი განლაგების სიღრმეში დაიხიეს. ტანკისტები მაიორ ხოპკოს მეთაურობით მედგრად და მარჯვედ იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. მათ, მტრის რიცხობრივი სიჭარბის მიუხედავად, ერთი მტკაველი მიწაც არ დაუთმეს მტერს, დიდი ზარალი მიაყენეს მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას და აიძულეს უკან დაეხია.

მაიორ ხოპკოს კარგმა მეთაურობამ, ტანკისტთა დიდმა საბრძოლო აქტივობამ, დისციპლინიანობამ, სიმტკიცემ და ყოველივე სიძნელის გადალახვისათვის მზადყოფნამ გადასწყვიტა საქმის წარმატება.

ასეთი უნდა იყოს ყველა ჩვენი მეთაური—ტანკისტი.

ომის მსვლელობაში წითელი არმია შეივსო ბრძოლებში ნაწრთობი მებრძოლი მეთაურებით. დღეს ქვეყნდება სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება წითელი არმიის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ. და წითელი არმიის უფროს, საშუალო და უმცროს მეუფროსეთა შემადგენლობაში ძალიან ბევრნი არიან მეთაურები, რომელნიც გახდნენ სამხედრო საქმის ნამდვილი ოსტატები, ნებისყოფიანი, მტკიცე მეთაურები, რომელთაც ემარჯვებათ გასცენ ბრძანება და მოითხოვონ ბრძანების ზუსტი შესრულება, რომელნიც მომთხოვნელნი არიან თავიანთ მიმართაც და ხელქვეითთა მიმართაც. მათ შეუძლიათ და კიდევაც უნდა წაიყვანონ საქმე ისე, რომ წითელმა არმიამ მიაღწიოს თავისი მაღალი განმათავისუფლებელი მისიის განხორციელებას — გაანადგუროს გერმანელი ფაშისტი არამზადები და მათი თანამზრახველნი.

მტერი უნდა შეჩერებულ იქნას და კიდევაც იქნება შეჩერებული! მტერი უკუქცეულ იქნება დასავლეთისაკენ! მტერი განადგურებულ იქნება!

„პრავდის" მოწინავე, 5/VIII.

მაგნიტოგორსკის მეტალურგიული ქარხანა იზრდება

უკვე მეორე ათეული წელია მიმდინარეობს მაგნიტოგორსკის მეტალურგიული გიგანტის მშენებლობა. ომის დროს მშენებლობის ტემპები მნიშვნელოვნად დაჩქარდა.

ამას წინათ მწყობრში ჩადგა მეხუთე მკოქსავი ბატარია, ამუშავებულია საფურცლე დაზგა.

4 აგვისტოს მეტიზის ქარხანაში ამუშავდა პირველი რიგის საყალიბო საამქრო.

ჩქარი მეთოდებით სწარმოებს ახალი მარტენებისა და საგლინავი დაზგების მშენებლობა. (საკდესი).

ფრონტელების ოჯახთათვის დახმარების აღმომჩენი საქარხნო კომიტეტები

ნოვოსიბირსკის ოლქის ფაბრიკა-ქარხნებში იქმნება ფრონტელების ოჯახთათვის დახმარების აღმომჩენი კომიტეტები. კომიტეტების ამოცანაა—მჭიდრო კავშირი იქონიონ მებრძოლთა, მეთაურთა, პოლიტმუშაკთა ოჯახებთან და იზრუნონ მათი მატერიალური და ყოფაცხოვრებითი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 აგვისტოს დილის ცნობა

4 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან კლეტსკაიას, ციმლიანსკაიას, ბელაია გლინას და კუშჩევსკაიას რაიონებში.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

კლეტსკაიას რაიონში ჩვენი ჯარები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. Ნ ნაწილმა მოწინააღმდეგის 4 იერიში მოიგერია, გერმანელთა 6 ტანკი მოსპო და 450 ჰიტლერელი გასწყვიტა. ჩვენმა ტანკისტებმა ქვეითებთან ერთად წარმოებული სასტიკი ბრძოლის შედეგად დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. გერმანელებმა გამოიყვანეს რეზერვები და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს, რომლებიც აგრეთვე მოგერიებულ იქნა ჩვენი ნაწილების მიერ.

• • •

ციმლიანსკაიას რაიონში ჩვენი ჯარები მოგერიებით ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის წინააღმდეგ. მედგარი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა ერთ უბანზე ახალ პოზიციებზე გადმოინაცვლეს. აქტიურად მოქმედებს ჩვენი ავიაცია. საბჭოთა მოიერიშე და გამანადგურებელი ავიაცია დღედაღამ განუწყვეტლივ ურტყამს მოწინააღმდეგის ჯარებს.

• • •

ბელაია გლინას რაიონში ჩვენი ჯარები მძიმე ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის შემოჭრილი ტანკებისა და მოტორიზებული ნაწილების წინააღმდეგ. სარდლობის ბრძანებით ჩვენმა ნაწილებმა ახალ თავდაცვით პოზიციებზე გადმოინაცვლეს.

• • •

კუშჩევსკაიას რაიონში ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების იერიშებს იგერიებენ და მძიმე ზარალს აყენებენ მას. მარტო ერთმა ჩვენმა ქვეითმა შენაერთმა გერმანელთა 6 ტანკი, 14 ქვემეხი, 22 ტყვიამფრქვევი და 17 ნაღმსატყორცნი მოსპო და მტრის 550-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა. სხვა უბანზე ჩვენმა კავალერისტებმა უეცარი იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე. წინასწარი, არასრული ცნობების თანახმად, ამ ბრძოლებში გაჟლეტილია მოწინააღმდეგის 3.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ვორონეჟის ფრონტზე ორივე მხრიდან არტილერიისა და თოფ-ტყვიამფრქვევის კანტიკუნტი სროლა იყო. ჩვენი მზვერავთა ჯგუფი მდინარე დონის დასავლეთ ნაპირზე გადავიდა, ბრძოლა გაუმართა მოწინააღმდეგეს, დახოცა გერმანელთა 60 ჯარისკაცი და 3 ოფიცერი და ხელთ იგდო ტყვეები. ჩვენი ავიაციის მოქმედებით მოსპობილია გერმანელთა 24 ავტომანქანა, 4 საზენიტო ქვემეხი, მდინარის 2 გადასასვლელი და გაჟლეტილია გერმანელთა 1 ოცეულამდე ქვეითი ჯარი.

• • •

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით და სნაიპერების მიერ გაჟლეტილია 300-ზე მეტი ჰიტლერელი. მოწინააღმდეგე თოფ-ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნის უწესრიგო სროლით გვიპასუხებდა.

• • •

სუმის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი, რომელსაც ამხ. ს. მეთაურობს, თავს დაესხა გესტაპოელთა ასეულს. პარტიზანებმა მოწინააღმდეგის 98 ჯარისკაცი და 5 ოფიცერი გაჟლიტეს და მოსპეს 3 ავტომანქანა სამხედრო ქონებიანად, საწყობი საომარ მასალიანად და ხელთ იგდეს დავლა.

ქალ. ნოვგოროდ-ვოლინსკის პარტიზანებმა გერმანელთა მიერ ამას წინათ აღდგენილი ქარხანა დასწვეს.

• • •

გერმანელთა ზურგიდან ჩვენი ჯარების განლაგებაში გადმოსულმა საბჭოთა მოქალაქემ გ. ლ. ბობცოვმა განაცხადა: „ლენინგრადის ოლქის ქალ. სლუცკში ძალიან ცოტა მოსახლეობა დარჩა. გერმანელებმა მცხოვრებთა უმრავლესობა აწამეს და დახვრიტეს, ხოლო ბევრი შორეულ ზურგში გარეკეს. ფაშისტმა ბანდიტებმა დაანგრიეს და მთლიანად გაძარცვეს პავლოვსკის სასახლე. ძვირფასი ნივთები, სურათები, ლარნაკები და ქანდაკებანი მძარცველებმა გერმანიაში გაზიდეს. საუცხოო პარკის ხეები გაჩეხილია. ქალაქში შიმშილი მძვინვარებს. ქუჩებში შიმშილით დახოცილთა გვამები ჰყრია. სლუცკის საკონცენტრაციო ბანაკში ასობით მშვიდობიანი მცხოვრები იტანჯება, რომელთაც სიკვდილი მოელით. მათ იშვიათად მიუტანენ ხოლმე გადასაყრელ ნარჩენებს ჯარისკაცთა სამზარეულოდან. ბანაკიდან ყოველდღე გააქვთ შიმშილით დახოცილთა რამდენიმე გვამი".

• • •

ოსტენდეს ნავსადგურში (ბელგია) გერმანელთა 2 საყარაულო გემზე აფეთქება მოხდა. ერთი გემი მალე ჩაიძირა. იქვე აფეთქდა გერმანელთა სამხედრო საწყობი. გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლებმა ბევრი ბელგიელი მტვირთავთაგანი დააპატიმრეს.

• • •

პაბიანიცის (პოლონეთი) ერთ საფეიქრო ფაბრიკაში „სს"-ელებმა საამქროში ჩამოახრჩეს 8 პოლონელი იმისათვის, რომ მათ პროტესტი განაცხადეს გერმანელთა ადმინისტრაციის თვითნებობისა და უხამსი ქცევის გამო. გვამები 3 დღე ეკიდა სახრჩობელაზე. ამ გაუგონარი საქციელით აღშფოთებულმა პოლონელმა მუშებმა მოწყობილობა დაამტვრიეს, კანტორა დაარბიეს და სამუშაო მიატოვეს.

5 აგვისტოს საღამოს ცნობა

5 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები სასტიკ ბრძოლებს ეწეოდნენ კლეტსკაიას და კოტელნიკოვოს რაიონებში, ბელაია გლინის სამხრეთით და კუშჩევსკაიას სამხრეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

4 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 40-მდე ტანკი, 200-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 100-მდე საზიდარი საომარ მასალიანად, 4 ავტოცისტერნი საწვავიანად, ააფეთქეს საომარი მასალის 4 საწყობი და საწვავის საწყობი, ჩაახშეს საველე და საზენიტო არტილერიის 20 ბატარია, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს 4 ასეულამდე მტრის ქვეითი ჯარი.

• • •

კლეტსკაიას რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან. გერმანელთა ქვეითმა ჯარმა ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანების დახმარებით რამდენჯერმე მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე. ჩვენი მებრძოლები მედგრად შეხვდნენ გერმანელთა დარტყმებს და მოიგერიეს მათი იერიშები. მტერმა ამ ბრძოლებში დაჰკარგა 8 ტანკი და 1.200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. კლეტსკაიას სამხრეთით სატანკო ბრძოლა მოხდა, რომლის მსვლელობაშიც საბჭოთა ტანკისტებმა გერმანელთა 13 ტანკი დასწვეს და დააზიანეს.

• • •

სასტიკი ბრძოლები იყო კოტელნიკოვოს რაიონში. მტერმა თავი მოუყარა დიდ ძალებს და განუწყვეტლივ მოაქვს იერიში ჩვენს პოზიციებზე. მან დიდი ზარალის ფასად მოახერხა წინ წამოწეულიყო რამდენადმე. ერთ დასახლებულ პუნქტთან შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა. პუნქტი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. არასრული ცნობების თანახმად, ამ უბანზე მოსპობილია 12 ტანკი, 28 ავტომანქანა და გაჟლეტილია 400-ზე მეტი ჰიტლერელი.

• • •

ბელაია გლინის სამხრეთით ჩვენი ჯარები დაძაბულ თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებთან და მოტოქვეით ჯართან. ერთ-ერთ უბანზე, შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ნაწილებმა ახალ ზღუდეებზე გადაინაცვლეს. სხვა უბანზე მტრის მეავტომატეთა დიდი რაზმი ჩვენი ნაწილის ზურგში გამოიჭრა. სასწრაფოდ მიღებული ღონისძიებებით გერმანელ მეავტომატეებს გარს შემოერტყნენ და მთლიანად მოსპეს. კუშჩევსკაიას სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები მტრის მრავალრიცხოვან იერიშებს იგერიებდნენ. მარტო № ნაწილის უბანზე მოსპობილია გერმანელთა 6 ტანკი, 4 ქვემეხი და 26 ტყვიამფრქვევი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 600-ზე მეტი გვამი.

• • •

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტზე ავიაცია მოქმედებდა და არტილერიის კანტიკუნტი სროლა იყო. 7-მა ჩქარმა საბჭოთა ბომბდამშენმა ამხ. პერლიკის ხელმძღვანელობით დაანგრია მტრის გადმოსასვლელი მდინარეზე. მფრინავთა ჯგუფი ამხ. არტემოვის მეთაურობით თავს დაესხა მტრის აეროდრომს. თავდასხმის შედეგად აფეთქდა საწყობი საომარ მასალიანად და ხანძრის 18 კერა გაჩნდა. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

• • •

კარელიის ფრონტზე იმ ნაწილის მფრინავთა ჯგუფი, რომლის მეთაურიც ამხ. ბელოუსოვი არის, უეცრად დაესხა თავს მტრის აეროდრომს. მოსპობილია გერმანელთა 14 თვითმფრინავი. ცოტა უფრო გვიან ამავე ნაწილის მფრინავები მეთაურ ამხ. ფომინის მფრინავებთან ერთად ერთხელ კიდევ დაესხნენ თავს მტრის აეროდრომს, სადაც იყო 12 „მესერშმიტი-109", გერმანელთა 2 თვითმფრინავი, რომელნიც აფრენას ცდილობდნენ, ჩამოაგდეს პილოტებმა ამხ. ჩებიკოვმა და ბაკულინმა. სულ ამ თავდასხმის დროს მოსპობილ იქნა გერმანელთა 7 ავიაგამანადგურებელი.

• • •

ლენინგრადის ოლქში მოქმედი ამხ. ტ-ს რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სამხედრო ეშელონი. სულ მთლად დაიმტვრა 14 სამგზავრო და 10 საქონლის ვაგონი. 150 მეტრ მანძილზე დაზიანებულია რკინიგზის ლიანდაგი. მოკლული და დაჭრილია 300-ზე მეტი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი.

• • •

გერმანელთა მე-4 გამანადგურებელი ესკადრის ტყვედ წამოყვანილმა მფრინავმა უნტერ-ოფიცერმა ვილი ტრეტერმა განაცხადა: „მე მხოლოდ ამ დღეებში მოვედი ფრონტზე. რუსმა მფრინავებმა პირველსავე საჰაერო ბრძოლაში ჩამომაგდეს. ჩვენი ძველი მფრინავები ამბობენ, რომ რუს მფრინავებთან ბრძოლა უფრო და უფრო ძნელი ხდება. ჩვენ სულ მუდამ გვეუბნებოდნენ, რუსების ავიაცია მოსპობილიაო. ამიტომ ცნობებმა კენიგსბერგზე საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმების შესახებ მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ამბობენ, რუსეთის ბომბდამშენებმა დიდად დაანგრიეს სამხედრო ობიექტებიო".

• • •

გერმანელ ჯარისკაც ვალტერ შერპეს სწერს კურტ გერელინგი საარის ოლქიდან: „ომი არაქათს გვაცლის. მუშაობა გვიხდება ჭანამდე, სანამ წელში არ გავწყდებით, სახეთქი კი არაფერი გვაქვს. გლეხებს წაართვეს ყველაფერი, რაც ჰქონდათ. მაგრამ ჩივილი არ შეიძლება. ვაი იმას, ვინც ზედმეტ რამეს წამოაყრანტალებს. მას კრიტიკანს დაარქმევენ და მაშინ მისი საქმე წასულია".

• • •

ფრანგმა პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ფოლადსასხმელი ქარხნის დიდი საგლინავი დაზგა და სამი მარტენის ღუმელი ქ. ირსონის მიდამოებში. კამბრეს მაუდის ფაბრიკაში უცნობმა პირებმა ცეცხლი წაუკიდეს მზა პროდუქციის საწყობს. ცეცხლმა მოსპო 30.000 მეტრი ქსოვილი, რომელიც გამზადებული იყო გერმანიაში გასაგზავნად.

ჰიტლერელები მხეცურად ჰკლავენ საბჭოთა ბავშვებს

კალინინის ფრონტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სმოლენსკის ოლქის დუხოვშჩინის რაიონის სოფელ კიშკინოში ფაშისტებმა ყველა სახლი დასწვეს. ხანძრის დროს ბანდიტები კოლმეურნეებს ცეცხლში ჰყრიდნენ. ასე ცოცხლად დასწვეს მთელი ოჯახები. დაიღუპნენ: უსტინია კორეევა თავის 3 პაწაწა ბავშვთან ერთად, კოლმეურნე პავლიუჩენკოვი და მისი ბავშვები—დუნია, კატია, ვასია, პეტია, ნინო, გალია და ტანია. 8 წლამდე ასაკის ბავშვთა ჯგუფი ფაშისტებმა ქუჩაში გამოიყვანეს და მათზე ტანკები გადაატარეს. გზაში დარჩა მანქანების მუხლუხებით გასრესილ ბავშვთა მრავალი გვამი.

ამავე რაიონის სოფელ მარკოვოში ფაშისტებმა ქუჩაში შეიპყრეს ორი ქალიშვილი, ზურგით ერთმანეთს მიაბეს, ბენზინი გადაასხეს და დასწვეს. ორივე საშინელ წამებაში მოკვდა.

ათი ბანდიტი ღამით შეიჭრა სლობოდის რაიონის ერთ-ერთი სოფლის კოლმეურნე მარიამ სტეპანოვას სახლში და საჯაროდ აწამა იგი. ჰიტლერელებმა სტეპანოვას მოსჭრეს ყურები, ცხვირი, ხელ-ფეხის თითები, თვალები დასთხარეს, შემდეგ კი ჩამოახრჩეს.

სამი კვირის განმავლობაში აწამებდნენ ფაშისტი კაციჭამიები პონიზოვიეს რაიონის მოლოტოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალგაზრდა კოლმეურნე ქალებს იაკუშევასა და ივანოვას. ჰიტლერელებმა მათ თავები გაპარსეს, ყოველდღე ატარებდნენ რაიონულ ცენტრ პონიზოვიეს ქუჩებში. ქალიშვილებს ყოველდღე წკეპლავდნენ. ეს მხეცური წამება მანამდე გრძელდებოდა, სანამ ახალგაზრდა კოლმეურნე ქალები არ დაიღუპნენ.

ი. კორიავიჩევი

ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები საქართველოში წარმატებით ვრცელდება

რესპუბლიკაში გავრცელებულია 42.048.000 მანეთის ბილეთები

ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთების გავრცელება საქართველოში კვლავ წარმატებით მიმდინარეობს. საქართველოს შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობებით, მთელს რესპუბლიკაში 4 აგვისტოს საღამოსათვის გავრცელებული იყო 42.048.000 მანეთის ლატარიის ბილეთები. აქედან აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—3.389.000 მანეთისა, აჭარის ასს რესპუბლიკაში—2.646.000 მანეთისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 1.188.000 მანეთისა.

აღნიშნულ დროისათვის მთელს რესპუბლიკაში ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები ნაღდ ფულზე შეძენილი იყო 14.329.000 მანეთის რაოდენობით. აქედან ქალაქის მოსახლეობამ ნაღდ ფულზე შეიძინა 1.656.000 მანეთის ბილეთები, ხოლო კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა —12.673.000 მანეთისა.

თბილისში ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები გავრცელებულია 7.606.000 მანეთის რაოდენობით, აქედან 26 კომისრის რაიონში გავრცელებულია 1.657.000 მანეთისა, ბერიას რაიონში—1.453.000 მან., სტალინის რაიონში—1.246.000 მან., ლენინის რაიონში—1.209.000 მან., კიროვის რაიონში—764.000 მან., მოლოტოვის რაიონში—679.000 მან. და ორჯონიკიძის რაიონში—598.000 მანეთისა.

ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთების გავრცელება წარმატებით გრძელდება.

სიკვდილი მონათმფლობელებს!

წაიკითხეთ ეს წერილები, ამხანაგებო! ეს წერილები ჯიბეში აღმოაჩნდათ მოკლულ გერმანელებს. ეს დოკუმენტები თავზარდამცემია თავიანთი ცინიზმით. მათში დაინახავთ იმ საბჭოთა ადამიანების საშინელ ბედს, რომელნიც ძალით იქნენ წაყვანილი საზიზღარსა და ბნელეთის ქვეყნად გერმანიაში. გაშმაგებული გერმანელები სილებით აუწყვეტ... არა ლოყებს რუს, უკრაინელ და ბელორუს ქალებს და მარტოოდენ ჭარხლის პურს აჭმევენ თუ არა მათ, როგორც პირუტყვს—ეს დამოკიდებულია თქვენზე, თქვენს სიმტკიცეზე, თქვენს მამაცობაზე და მტკიცე გადაწყვეტილებაზე—გაანადგუროთ მტერი.

აი ეს წერილები.

„ვინ იფიქრებდა, ვილი, რომ ისეთ ცხოვრებს, როგორიც არის ჩვენი უკრაინელი ქალი, მშვენიერი კერვა ეცოდინებოდა. ეს ძალიან სასიამოვნოა. თუმცა, როგორც შენ თითონ გესმის, არც ჩვენი ფრანგი ზის უსაქმოდ. გუშინ მან ქუსლები მიაკრა ჩემსა და მამას ფეხსაცმელს. დღეს კი კიბე შეაკეთა. მამაჩემი ამბობს, ხშირად უნდა დაისაჯოთ, თორემ ზარმაცობას დაიწყებენო..."

(უნტერ-ოფიცერ ვილი მენცელის მიერ მისი საცოლის რუტ კრეჭმარისაგან ზეიტანიდან, ბრესლაუ-ლისიდან მიღებული წერილიდან).

„... 1 მარტისათვის 3 უკრაინელი ქალიშვილს მოგეცემენ ბოსტანში სამუშაოდ და 2 ქალიშვილს—ოჯახში სამუშაოდ. დამშვიდებული იყავი, ისინი კარგად იმუშავებენ. გარდა ამისა, [illegible] რომ მაშინ ჩვენი მეურნეობის საქმე [illegible] შაობენ რუსები, ყველანი ამბობენ, რომ საერთოდ ის საქმე ძვირად არა ჯდება".

(ეფრეიტორ ჰანს პასმანის მიერ ანა ლიზა ჰაიესაგან რაისდორფიდან მიღებული წერილიდან).

„... შტერინგენიდან 3 ლიტველი გაიპარა, მაგრამ ისინი უკვე ბელორუსებით შეცვალეს. ეს უფრო იაფიც არის. ჩვენ არაფერი დაგვიკარგნია. ამ ბელორუსების კვება ძალიან იაფად გვიჯდება. რუსებს მარტო ჭარხლის პური ეძლევათ..."

(ჯარისკაც შრედერის მიერ ფონ ბლეტენშტადტის ოჯახისაგან აღმოსავლეთ პრუსიის, ავგერაპის ოლქის გროსმედიენიდან მიღებული წერილიდან).

წითელი არმიის მეომარო! ერთი წუთით ხელი სახეზე მიიფარე. მძიმეა რუსისათვის გერმანელთა ამ სტრიქონების წაკითხვა. წაშალე ეს სტრიქონები გერმანელთა სისხლში ამოვლებული ხიშტით.

სიკვდილი მონათმფლობელებს!

ალექსეი ტოლსტოი

„კრასნაია ზვეზდა", 5 აგვისტო.

სიმტკიცე და სიმამაცე

მოქმედი არმია, 2 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). მთელი ღამის განმავლობაში აწყობდნენ გერმანელები გადმოსასვლელს. ჩვენი ავიაცია ჰაერში მაშინ გამოჩნდა, როდესაც მტერს აჩქარებით გადმოჰყავდა დონზე თავისი ქვეითი ჯარი და ტანკები. ვერც საზენიტო ქვემეხთა ცეცხლმა, ვერც „მესერშმიტთა" გუნდებმა ვერ შეუშალეს ხელი მფრინავებს გადმოსასვლელის დანგრევაში. თავდასხმა ზედიზედ ხდებოდა. გადმოსასვლელის შენება საშიში საქმე გახდა მტრისათვის. ფაშისტებმა უმაგალითო ბოროტმოქმედებას მიმართეს. წამებისა და დახვრეტის მუქარით მორეკეს მათ მდინარისთან მშვიდობიანი მცხოვრებნი და უბრძანეს გადმოსასვლელის მოწყობა.

მტრის გზა დონის მიწა-წყალზე აღბეჭდილია ხანძრებით, სახრჩობელებით, ძარცვითა და ძალადობით. როგორც კი შემოიჭრნენ ჰიტლერელი ჯალათები თვალსარმტაც სტანიცაში, ყველგან აგიზგიზდა ხანძარი, გაისმა ქალებისა და ბავშვების კვნესა.

კიდევ უფრო გააფთრებით ებრძვიან ფაშისტ ავაზაკებს მებრძოლები და მეთაურები. მსუბუქი ტანკების ქვეგანაყოფმა კაპიტან დანილინის მეთაურობით ზედიზედ მოიგერია ჰიტლერელთა ორი სატანკო იერიში. მტერმა 6 მანქანა დაჰკარგა.

ისროლონ, სანამ უკანასკნელი ყუმბარა არ გამოელევათ—ასეთია არტილერისტების წესი. სერჟანტი მატვეიჩუკი თავის ქვემეხთან დარჩა ერთი მებრძოლითურთ. ქვემეხის წინააღმდეგ მოდიოდა ტანკების ჯგუფი. მატვეიჩუკი მედგრად იგერიებდა მტრის იერიშს. ჰიტლერელებმა 10 ტანკი დაჰკარგეს და იერიში შესწყვიტეს.

სხვა ქვემეხთან იმყოფებოდა უფროსი ლეიტენანტი გურიევი. იგი 7 ადგილას დაიჭრა ტყვიით, მაგრამ ცეცხლის პოზიცია არ დაუტოვებია. მან ჯავშნგამტანი ყუმბარებით ცეცხლი გაუხსნა გერმანელთა 5 ტანკს. 2 ტანკი და 9 ავტომანქანა ქვეითი ჯარიანურთ დასწვა ლეიტენანტმა ნიკიტინმა.

ფაშისტებს სულ ახალ-ახალი ძალები გადმოჰყავთ ბრძოლაში. ისინი წინ მოძვრებიან და ჩვენი მებრძოლების გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებიან. მტრის გზა დონის მიწა-წყალზე დამსხვრეული ლითონის გროვებითა და ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებით არის მოფენილი.

ს. მოსკალენკო.

პსკოვშჩინა გერმანელთა სისხლიან უღელქვეშ

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტი, 5 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელმა მხეცებმა ლენინგრადის ოლქის მათ მიერ ოკუპირებულ რაიონებში პსკოვის მახლობლად ბატონყმობის დრო აღადგინეს. იქიდან გამოქცეული საბჭოთა მოქალაქეები გვიამბობენ, რომ ფაშისტები არავითარ ბოროტმოქმედებას არ ერიდებიან. გერმანელები ათასობით ერეკებიან ქალაქელებს და კოლმეურნეებს გერმანიაში მონური შრომისათვის. ამ უკანასკნელ ხანს ჰიტლერელებმა განახლეს საჯარო გაწკეპლვა.

სლავკოვიჩის რაიონის სოფელ კურცევოში პსკოვის მახლობლად გერმანელებმა საჯაროდ დასაჯეს ფიზიკურად 16 წლის ნიკანდრ სტეპანოვი, რომელსაც 25-ჯერ დაჰკრეს მძიმე ჯოხი მხოლოდ იმისათვის, რომ თითქოს მას „სამხედრო ნიმუშის" ჩექმები ჰქონდა.

მოზარდს ამ სოფლის კოლმეურნე ნიკოლოზ ფედოროვი გამოექომაგა. მან განუმარტა გერმანელებს, ასეთი ჩექმები სტეპანოვს სულაც არა ჰქონიაო. გერმანელმა ჯარისკაცებმა იქვე თანასოფლელთა დასწრებით 15 ჯოხი დაჰკრეს ფედოროვს.

საშინლად აწამეს სოფელ როჟნევოს 80 წლის გლეხი პაველ ფედოროვი და მისი ქალიშვილი ვალენტინა. გერმანელებმა ეჭვი მიიტანეს, რომ მოხუცი პარტიზანებს თანაუგრძნობდა, არავითარი დამამტკიცებელი საბუთი კი არ გააჩნდათ. მათ შემოახიეს მოხუცს ტანსაცმელი და უწყალოდ სცემეს, 50-ჯერ დაჰკრეს. ფაშისტმა ოფიცერმა ჰკითხა თითქმის გონებადაკარგულ მწოლიარე მოხუცს:—ახლა ხომ იტყვი, სად არიან პარტიზანები? მოხუცი სდუმდა. მაშინ ჰიტლერელმა სადისტებმა განახლეს ცემა. მოხუცის გვერდით იწვა მისი გაშიშვლებული ქალიშვილი. გერმანელები იმასაც სცემდნენ. როდესაც ამ ტანჯულებმა გრძნობა დაჰკარგეს, ჯალათებმა შესწყვიტეს წამება, ხოლო შემდეგ ისევ განაგრძეს. მამასა და ქალიშვილს თითოს 150-ჯერ დაჰკრეს ჯოხი.

სოფელ კურცევოს მცხოვრებს 40 წლის პელაგია ვასილიევას გერმანელებმა მილიციის ფორმა უპოვეს. ვასილიევას ვაჟიშვილი ოდესღაც მილიციაში მსახურობდა. ეს საკმარისი იყო, რომ გერმანელი ოფიცრის ბრძანებით ვასილიევა გაეწკეპლათ.

სოფელ კაშინოში გაწკეპლეს ბორისოვების მთელი ოჯახი. სოფელ ხუდოროვოში ფაშისტებმა მხეცურად აწამეს 50 წლის კოლმეურნე ალექსი მიხაილოვი, მისი ცოლი ნადეჟდა და მისი ავადმყოფი დედა, 80 წლის აქსინია.

უსირცხვილოდ ამცირებენ და შეურაცხყოფენ გერმანელები რუს ხალხს პსკოვშჩინაში. მარტო ფაშისტ ჯალათთა სიკვდილი შეიძლება იყოს ამ გაუგონარი შეურაცხყოფის სამართლიანი მისაზღველი.

ი. დენისოვი.

საბჭოთა პარტიზანები სიცოცხლეს უმწარებენ ოკუპანტებს

ჰიტლერელები სერიოზულად არიან შეშფოთებულნი იმ მძიმე მდგომარეობით, რომელიც მათ შექმნით ბელორუსიაში. გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან მთელი მოსახლეობის უსასტიკეს წინააღმდეგობას.

„იდუმალი საშინელი წყევლა გვიმძიმებს სულს ბელორუსიაში,—სწერს ჰიტლერელთა გაზეთი „ნოიეს ვინერ ტაგებლატი".—გერმანელი მოხელენი აქ ვერაფერს პოულობენ ისეთს, რომ მათი მუშაობის შემსუბუქება შეეძლოს. გლეხებს არა სურთ შეეგუონ ცხოვრების ახალ პირობებს. ხელოსნები ჩვენს მოწოდებას არ გამოეხმაურნენ".

ბელორუს ხალხის წინააღმდეგობის გასატეხად ჰიტლერელები სასტიკად უსწორდებიან ურჩებს—ხოცავენ კაცებს, ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს. ამავე დროს მათ საზიზღარი პროპაგანდა გააჩაღეს მოსახლეობაში და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ „ბელორუსებს არაფერი აქვთ საერთო რუსებთან", რომ „ბელორუსიის ბედი განუყოფელია გერმანიის ბედისაგან".

საბჭოთა ბელორუსიის მოქალაქენი ტყვიითა და გრანატით უპასუხებენ ოკუპანტთა ყველა მოწოდებას, რომ დაემორჩილონ მათ. შვედურ გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის" ცნობით, საბჭოთა პარტიზანები ჯგუფ-ჯგუფად, 200-300 კაცის შემადგენლობით, სისტემატურად ესხმიან თავს გერმანელთა ჯარების ბანაკებს. ისინი მძიმე ზარალს აყენებენ გერმანელებს მოულოდნელი იერიშებით, ხოლო როცა საჭიროა, ერთმანეთად ჰქრებიან.

„გულკეთილი, გრძელწვერა გლეხი კავით მუშაობს დილიდან საღამომდე. მზე რომ ჩავა,—სწერს გაზეთი,—იგი შინ ბრუნდება; შეღამდება თუ არა, დამალულ ტყვიამფრქვევს იღებს, და მშვიდობიანი გლეხი პარტიზანად იქცევა". ამ ადამიანთა მოქმედება ხშირად ისეთ ხასიათს იღებს, რომ გერმანელები იძულებული ხდებიან ავიაციაც კი გამოიყენონ ბრძოლაში.

ამჟამად პარტიზანებისაგან თავის დასაცავად გერმანელები ცდილობენ გერმანელთა თავდაცვის რაზმები მოაწყონ ბელორუსიის ქალაქებსა და სოფლებში.

საბჭოთა კავშირში

წითელი არმიის პურის ფონდში

ყაზახეთის რესპუბლიკის ასობით კოლმეურნეობა ვადამდე აბარებს მარცვლეულს წითელი არმიის პურის ფონდში. საგარეუბნო კოლმეურნეობებმა—ლენინის სახელობისამ და „სამეურმა ცხოვრებამ" პირველებმა მიიტანეს პური ალმა-ატის ელევატორში სამშობლოს გმირი დამცველებისათვის.

დამამზადებელი პუნქტებისაკენ ორ-ორი რეისს აკეთებენ ჯამბულის ოლქის ჩუს რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის" მეურნეები. მათ ასზე მეტი ცენტნერი მარცვლეული გადაზიდეს.

ათიათასობით ფუთი პური შემოვიდა სამხრეთ ყაზახეთის დამამზადებელ პუნქტებში. წითელი არმიის ფონდში მარცვლეულის ვადამდე ჩაბარება დაიწყო ყზილ-ორდის, დასავლეთ ყაზახეთისა და სემიპალატინსკის ოლქებში.

4 აგვისტო. (საკდესი).

ბავშვთა 27 სასადილო

მოსკოვში მოწყობილია ბავშვთა 27 სასადილო. ამ სასადილოებში სადილი ეძლევა ფრონტელთა 30.000 ბავშვს.

ბავშვთა სასადილოები მოთავსებულია სპეციალურად მოწყობილ შენობებში. იქვე არის დასასვენებელი ოთახი, სადაც ბავშვები პედაგოგების მეთვალყურეობით ისვენებენ. (საკდესი).

სამამულო ომის ინვალიდები ახალ სპეციალობებს იძენენ

რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი სამამულო ომის 3.000 ინვალიდს მოამზადებს საანგარიშო მუშაობისათვის საბჭოთა მეურნეობებში. ამ სამუშაოზე წასვლის მსურველთა შერჩევა უშუალოდ ჰოსპიტლებში იწარმოებს. იქვე მოეწყობა მოსამზადებელი სწავლება საანგარიშო კურსებზე შემსვლელთათვის. ჰოსპიტალში მკურნალობის ვადის დამთავრების შემდეგ ამ სამუშაოზე შერჩეული ყველა პირი საბჭოთა მეურნეობებში გაიგზავნება, იქ სამუშაოზე ჩაირიცხება, ხოლო იქიდან მივლენილ იქნება სპეციალურ კურსებზე. კურსების დამთავრების შემდეგ სამამულო ომის ინვალიდები საბჭოთა მეურნეობებს ფერმათა ბუღალტრების სპეციალობას შეიძენენ. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

თურქეთის ახალი ელჩი სსრ კავშირში გამოემგზავრა

ანკარა, 4 აგვისტო (საკდესი). დღეს ანკარიდან სსრ კავშირში გამოემგზავრა თურქეთის ახლად დანიშნული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ჯევათ აჩიკალინი. სსრ კავშირში ელჩად დანიშვნამდე ბ-ნ აჩიკალინი თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის პირველი მოადგილის პოსტი ეკავა.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა რურს

ლონდონი, 5 აგვისტო (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 4 აგვისტოს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ რურის აუზის მთელ რიგ ობიექტებს. ამ დროს გამანადგურებელმა ავიაციამ იერიში მიიტანა რკინიგზისა და სხვა ობიექტებზე მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

საომარი მოქმედება ახლო აღმოსავლეთში

ლონდონი, 5 აგვისტო (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 3 აგვისტოს ღამით ფრონტის ყველა სექტორში აქტიურად მოქმედებდნენ პატრულები. ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის თავმოყრილ ტრანსპორტზე. ბარდიის რაიონში თავდასხმა მოხდა მტრის მოტორიან გემებზე. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში დაბომბილ იქნა მოწინააღმდეგის 3 დიდი გემი, რომელთაგან ერთს პირდაპირ მოხვდა ბომბი.

მოსავლის უდანაკარგოდ აღებით და პურის დამზადების გეგმების შესრულებით დავეხმაროთ ფრონტს!

დავძაბოთ მთელი ძალღონე მოსავლის აღების დასაჩქარებლად

სიღნაღი („კომუნისტის" სპეც. კორ.). წნორის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობები ჩამორჩნენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებაში. ცალკეული კოლმეურნეობები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მარტივი მანქანებითა და ხელით მოსავლის აღებას. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ერთად ვერ შეათავსეს მარცვლეულის, თივის აღების, თამბაქოს დამუშავება-შეტეხის სამუშაოები, ძალები სწორად ვერ გაანაწილეს. ამის გამო მოსავლის აღებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ სოფ. ვაქირის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე იოსებ ბეიტრიშვილი), საქობოს ორჯონიკიძის სახელობის (თავმჯდომარე ნიკო კაკაშვილი), დაბა წნორის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ილია ბაგალიშვილი) კოლმეურნეობები და წნორის კოლმეურნეობა „გლეხის სინათლე" (თავმჯდომარე სიმონ თევაშვილი).

თვითონ მტს-იც კარგად მომზადებული ვერ შეხვდა მოსავლის აღებას. მტს-ს 5 აგვისტოსათვის მოსავალი კომბაინებით აღებული ჰქონდა 2.500 ჰექტარზე. აქ სათანადოდ ვერ მოაწყეს კომბაინერთა ახალი კადრების სწავლება, ამ მხრივ ვერ გამოიყენეს ის გამოცდილი კომბაინერები, რომლებიც მტს-ში არიან. მტს-ს აქვს მხოლოდ ერთი მოძრავი სახელოსნო, რომელიც ყველა კომბაინს დროულად ვერ უწევს მომსახურებას. ამის შედეგად კომბაინები ხშირად სცდებიან და ჭიანურდება მოსავლის აღება.

4 აგვისტოს სიღნაღის პარტრაიკომის მდივნის ამხ. მ. ალავერდაშვილის თავმჯდომარეობით წნორის მტს-ში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, კომბაინერები, მტს-ის მუშაკები. თათბირმა დასახა ღონისძიებანი მოსავლის აღებაში ჩამორჩენის სასწრაფოდ გამოსასწორებლად.

მიღებულია გადამჭრელი ზომები უახლოეს დღეებში მოსავლის აღების დასამთავრებლად. ალაზნის მტს-მა თავისი კომბაინები წნორს გამოუგზავნა დასახმარებლად.

დ. ლომთაძე

ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად

გურჯაანი („კომუნისტის" კორ.). პარტრაიკომმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების სწრაფად დამთავრებისათვის, ვინაიდან მოსავლის აღება განსაკუთრებით კაჭრეთის მტს-ის მომსახურებაში შემავალ კოლმეურნეობებში არის ჩამორჩენილი. პარტრაიკომმა გურჯაანის მტს-ის 2 კომბაინი გაგზავნა უკანამხრის კოლმეურნეობებში სამუშაოდ. კომბაინერი სოსო ქართველიშვილი და ვარლამ ლუტიძე დღეში 12 და 13 ჰექტარს იღებენ და ნორმებს 150-160 პროცენტით ასრულებენ.

გარდა ამისა, უკანამხრის კოლმეურნეობებში სამუშაოდ გაემგზავრა წინამხრის კოლმეურნეობებიდან ათასი ყანისმკელი; ველისციხის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებმა დასახმარებლად გაგზავნეს 300 კაცი, გურჯაანისამ—150, კარდენახისამ—200.

სოფ. ყანდაურის, არაშენდის, კაჭრეთის, მელაანის კოლმეურნეობებს ყოველგვარი პირობები შეუქმნეს — სწრაფად დაამთავრონ მოსავლის აღება. კოლმეურნეობებში დასახმარებლად მისული მუშახელის სწორად გამოყენებისა და ორგანიზაციის საქმეს პირადად ხელმძღვანელობენ საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივნები.

შ. მაჭავარიანი

გავაუმჯობესოთ ჩაისა და ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლა

სოხუმი („კომუნისტის" კორ.). სოხუმში შესდგა საოლქო თათბირი ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების მდგომარეობის შესახებ. თათბირს ესწრებოდნენ პარტრაიკომების მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რაიმიწგანების გამგეები, მტს-ების დირექტორები, პოლიტგანყოფილებათა უფროსები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

აფხაზეთში ჩაისა და ციტრუსოვანთა ნარგავების მდგომარეობაზე მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. გ. ბერულავა. კამათში გამოვიდნენ გაგრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ზარანდია, პარტიის სოხუმის რაიკომის მდივანი კ. გოგია, მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნ. კალანდაძე, აგრონომი ეკიმოვი, გალის პარტრაიკომის მდივანი პ. თოდუა და სხვ.

თათბირის მონაწილეთა ყურადღება გამახვილებულ იქნა ჩაისა და ციტრუსოვანთა მოვლის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე. გამოირკვა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს ციტრუსოვანი ნარგავების მოვლაში. გალის რაიონში კოლმეურნეობა „მშრომელ გლეხში" ცუდი გამოზამთრების გამო ათეულობით ჰექტარი ციტრუსი დაიღუპა. ციტრუსებს კარგად არ უვლიან გუდაუთისა და გაგრის რაიონებში, გალის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში უხეშად არღვევენ ჩაის ფოთლის კრეფის წესებს.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების მოვლის გასაუმჯობესებლად.

კიროვის სახელობის ქარხანაში ახალმოსულ მუშა ქალთა შეკრება

4 აგვისტოს კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელ ქარხანაში შესდგა საწარმოში ახალმოსულ მუშა ქალების საერთო შეკრება. ქალთა შრომის გამოყენების ირგვლივ შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა მთავარი ინჟინერი ი. სიხარულიძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქარხანაში მიმდინარე წელს ბევრი ქალი მუშაობს, მათ შორის უმრავლესობა ყოფილი დიასახლისებია, რომლებიც ახლახან მოვიდნენ საწარმოში. ქალებმა არა მარტო მარტივი ოპერაციები აითვისეს, არამედ ბევრი მათგანი უკვე რთულ დაზგებზე მუშაობს და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

მომხსენებელი შეეხო საწარმოში ახალმოსულ მუშა ქალებისადმი წარმოების ძირეული ხელმძღვანელების — საამქროს უფროსებისა და ოსტატების დახმარების საკითხს და განაცხადა, რომ მთელი რიგი საამქროები დაინტერესებული არიან ქალთა შრომის წესიერი გამოყენებით. № 9 საამქროში (უფროსი ამხ. სიბახტარიანი) 34 ქალი მუშაობს, ამათგან 21 ყოფილი დიასახლისია, მათ მალე აითვისეს რთული პროფესიები და დავალებებს ვადაზე ადრე გადამეტებით ასრულებენ. ქალთა შრომა კარგად არის გამოყენებული № 2 საამქროშიც (უფროსი ამხ. კანდელაკი).

მაგრამ ყველა საამქროში როდია ამ მხრივ საქმე კარგად დაყენებული. მაგალითად, № 1 საამქროში (უფროსი ამხ. ხვედელიანი) სამი თვეა 34 ქალი სწავლობს პროფესიას და ამ ხნის განმავლობაში დამოუკიდებელ სამუშაოზე მხოლოდ 6 ქალია გადაყვანილი. დიასახლისმა ანტონიუკმა კარგა ხანია შეითვისა დეტალის ხეხვის საქმე, მაგრამ საამქროს ადმინისტრაციამ ვერ შეუქმნა მას სათანადო პირობები დამოუკიდებლად მუშაობისათვის.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა სტახანოველი ქალი ს. ბუზიაშვილი.

— პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი წითელი არმიის გმირულმა საქმეებმა,—განაცხადა ამხ. ბუზიაშვილმა,—ჩემში ახალი ენტუზიაზმი გამოიწვია. უმოკლეს დროში შევისწავლე მამაკაცის პროფესია, ვმუშაობ ორ დაზგაზე და გეგმებს სისტემატურად 250 პროცენტზე მეტით ვასრულებ. ისე დავეუფლე ჩემს საქმეს, რომ უკვე 2 მოწაფე მყავს, რომლებსაც ყოველდღე ვუზიარებ ჩემი მუშაობის მეთოდებსა და გამოცდილებას.

საწარმოებში მომუშავე ქალთა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მუშაობაზე ილაპარაკა ქარხნის ეკონომისტმა ქალმა ს. ქსოვრელმა. მან განაცხადა, რომ ქალები არა მარტო საწარმოში მუშაობენ, არამედ საზოგადოებრივ მუშაობაშიც აქტიურად არიან ჩაბმულნი. მუშა ქალები პეტროვა, კადიგროვა, სანაძე, ხუნდაძე, ეფრემოვა და სხვ. მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სამუშაოებს თავის დროზე და პირნათლად ასრულებენ.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ქარხნის კადრების განყოფილების გამგე ამხ. გ. კალანდაძე, სტახანოველი ამხ. ქაჯაია, ტექმინიმუმის კურსების ხელმძღვანელი ამხ. ა. ქილიფთარი და სპეცსაამქროს სტახანოველი ქალი ე. თურქია.

შეკრებამ პარტბიუროს მდივნის ამხ. გ. კაზაზიშვილის შემაჯამებელი სიტყვის შემდეგ დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მუშების შემოქმედებითი ინიციატივა

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივს ერთი წლის მანძილზე ორასამდე ახალი სხვადასხვა დეტალის ათვისება და დამზადება მოუხდა. დაზგები ისე გადააკეთეს, რომ მათ რამდენიმე სამუშაოს ასრულებინებენ. მაგალითად, ომიანობის დროის სტახანოველები—პ. გოლოვკინი და ხარატი გრ. წიკლაური საღარავ დაზგას სახარატო სამუშაოებსაც აკეთებინებენ. მასთან ამ დაზგას ისეთი მოწყობილობა გაუკეთეს, რომ ორი ოპერაცია ერთსა და იმავე დროს სრულდება.

ხელსაწყოს საამქროს ზეინკალმა ამხ. მ. შინკინმა მიიღო დავალება — დაემზადებინა როტორების გასაკეთებელი საჭირო მოწყობილობა. ამხ. შინკინმა მაღალი დისციპლინა გამოიჩინა, მან უმოკლეს ვადაში დაამზადა რთული შტამპის წნეხი—ფორმა. როტორები ახლა ქარხნის ერთერთ საამქროში მზადდება და თავისი ხარისხით სხვა სპეციალურ ქარხნებში დამზადებულს არ ჩამოუვარდება.

ერთ-ერთი ნაწილის დასამზადებლად კარბოლიტის ფხვნილს ხმარობენ. ეს მასალა ძნელი საშოვარი იყო. ლაბორანტმა მ. ვინოკურმა გამონახა მისი შემცვლელი იმ მასალიდან, რაც წინათ იყრებოდა და იწვებოდა.

მაღალი საწარმოო დისციპლინის მაგალითს იძლევა სტახანოველი ამხ. ი. კაზაკოვი. ის სამექანიკო საამქროს ოსტატ-ინსტრუქტორია. თანამდებობის მიხედვით უშუალოდ დაზგაზე არ უნდა მუშაობდეს. მაგრამ ახლა, ომის ვითარებაში, ამხ. კაზაკოვს ხშირად ვხედავთ სახარატო დაზგასთან. ის 6-7 ნორმას იძლევა ყოველდღიურად, ამავე დროს კაზაკოვი ამზადებს ახალ კადრებს. უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში მან 4 მოწაფე მოამზადა. ამათგან ორი უკვე დამოუკიდებლად მუშაობს.

არის ნაკლიც. № 7 საამქროს ოსტატი ევგენი დემეტრაშვილი ცვლის ოსტატია. ის ვალდებულია უხელმძღვანელოს და მოუაროს თავის საოსტატოს, მაგრამ დემეტრაშვილი ასე როდი იქცევა. 25 ივლისს ღამით საამქროში ზოგიერთმა ხელოსანმა უხეშად დაარღვია დისციპლინა, ეს იმ დროს, როდესაც დაზგებზე მათი სამუშაო გაჩერებული იყო. დემეტრაშვილმა ამ მდგომარეობას ყურადღება არ მიაქცია.

მზა პროდუქციის განყოფილების უფროსს ივანე ერგემლიძეს, რომელსაც ქარხნის ტრანსპორტიც აბარია, ამ რამდენიმე დღის წინათ დაავალეს მოეტანა ქარხანაში სარემონტო ობიექტი. ერგემლიძემ ავტომანქანა, რომელიც ამ საქმეზე უნდა გამოეყენებინა, თავის პირად საქმეზე გაგზავნა, ქარხანაში კი მუშები მოსცდნენ, რაც დანაშაულია.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის პარტიულმა, პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა გაშალონ ბრძოლა მტკიცე დისციპლინისათვის, ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი მუშების ახალ შემოქმედებით ინიციატივას.

ი. სოფრომაძე

ახალგაზრდა მუშებს ყოველდღიური დახმარება

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). ტყავფეხსაცმლის კომბინატში კარგად ხელმძღვანელობენ ახალი მუშების სწავლებასა და აღზრდას. საწარმოში 3 თვის წინათ მოსული ბევრი მუშა სტახანოველი და დამკვრელი გახდა. ამხ. გ. უშვერიძე ძველი კვალიფიციური მუშების დახმარებით მოკლე დროში დაეუფლა პროფესიას. იგი ივლისში 300 პროცენტით ასრულებდა ყოველდღიურ დავალებას. 27 და 28 ივლისს მან გამომუშავების ნორმა 320 პროცენტით გაანაღდა.

აბრეშუმის კომბინატის კოლექტივს 3 თვეში ახალი მუშები შეემატნენ. ახალი მუშები ენერგიულად სწავლობენ საწარმოს ტექნიკას. ბევრმა მათგანმა მუშაობის დაწყების დღიდან ორი-სამი კვირის შემდეგ დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა. შ. ჰეჭინაძე, ნ. ჩიკოვა, მ. ხოჯავა, ქ. მარდალეიშვილი და სხვ. ახლა გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. მაგრამ არის ნაკლიც. ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს.

მაუდის ფაბრიკაში ივნისსა და ივლისში 50 ახალმა მუშამ დაიწყო მუშაობა. ისინი ჩაებნენ სოცშეჯიბრებაში და ტექსწავლების წრეებში. ოსტატი ი. გოგიშვილი და ნ. თევზაძე დიდ დახმარებას უწევენ ახალგაზრდა მუშებს, რის შედეგად ზოგი მათგანი საგრძნობლად დაწინაურდა. მაგალითად, თ. გიორგაძე, ე. რონდონაია, ა. ქორქოლიანი და ი. ჯანჯღავა ივლისის მეორე ნახევარში დამოუკიდებლად მუშაობდნენ და გამომუშავების ნორმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ.

რ. კინწურაშვილი

ინგლისის სამხედრო მოსამსახურის წერილი

ლონდონი, 5 აგვისტო (საკდესი). გაზეთმა „ნიუს ქრონიკლმა" მოათავსა თავის მიმომხილველ კამინგსის სტატია, რომელშიც იგი სწერს, რომ მეორე ფრონტის გახსნის საკითხი „მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანებს პირზე აკერიათ!"

ამ საკითხისადმი ინგლისის არმიის დამოკიდებულების მაგალითად კამინგსს მოჰყავს წერილი, რომელიც მას არმიიდან მიუღია მეგობრისაგან. „არმიაში დიდ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება,—ნათქვამია წერილში,—რომ იგი არ იბრძვის. ჩვენ იშვიათად ვხედავთ გაზეთებს და მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები აღწევს ჩვენს ყურამდე რადიოთი. გასაოცარი სიჩუმე მყარდება, როდესაც გადმოგვცემენ ცნობებს როსტოვის ან ვორონეჟის შესახებ. ეგვიპტეც კი მეორე პლანზე რჩება. რაც შეეხება ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კომპანიის ცდას—ისე მოგვაჩვენოს ავიაგამანადგურებლების მოქმედება ლამანშზე, როგორც მეორე ფრონტი, ამ გადმოცემას თითქმის არავინ უგდებს ყურს".

იუგოსლაველი პარტიზანები წარმატებით იბრძვიან იტალიელ-გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ

ჟენევა, 5 აგვისტო (საკდესი). უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში სლოვენიის ბევრ რაიონში დიდი ბრძოლები სწარმოებდა იუგოსლაველ პარტიზანთა და იტალიელ-გერმანელ ოკუპანტთა შორის. 15 ივლისს იტალიელთა 4 დივიზიამ შეტევა დაიწყო იუგოსლაველი პარტიზანების მიერ განთავისუფლებული სლოვენიის მთელი რიგი რაიონების წინააღმდეგ. იტალიელთა ავიაციამ სასტიკად დაბომბა ბევრი სოფელი, სადაც რამდენიმე ასეული ბომბი ჩამოჰყარა. 10 სოფელი მთლიანად გადასწვეს.

პარტიზანულმა რაზმებმა მტკიცე თავდაცვა მოაწყეს და რამდენიმე უბანზე სერიოზულად დაამარცხეს ოკუპანტები. ერთ უბანზე პარტიზანები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ქალაქი ქუჩემბერკი დაიკავეს.

დიდი ბრძოლა სწარმოებდა აგრეთვე კოზარის მთების რაიონში. ბრძოლაში ორივე მხრივ დიდი ძალები იღებდნენ მონაწილეობას. ოკუპანტებმა ავიაცია, ტანკები და არტილერია გამოიყენეს. მოწინააღმდეგის რიცხობრივი და ტექნიკური უპირატესობის მიუხედავად, იუგოსლაველმა პარტიზანებმა ყველა იერიში მოიგერიეს და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ უკან დაახევინეს მტერს. იტალიელ-გერმანელთა ჯარებმა დაჰკარგეს 4.000-ზე მეტი კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით, 7 ტანკი და რამდენიმე ქვემეხი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 3 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი და პოლკის 2 დროშა. პარტიზანები წარმატებით განავრძობენ კონტრშეტევას და კვალდაკვალ მისდევენ მტერს, რომელიც ქალაქ ბოსანსკა კოსტაინიცის მიმართულებით იხევს.

ჰიტლერელთა ტერორი ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 4 აგვისტო (საკდესი). ნორვეგიული გაზეთი „ადრესეავისენი" იუწყება, რომ ჰიტლერელებმა ტრონჰეიმის სამხედრო ოლქში დიდი ჩხრეკა მოაწყეს და ასობით ნორვეგიელი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის ვერნესის აეროდრომის 32 მუშაა. ისინი პროტესტს აცხადებდნენ იმის გამო, რომ გერმანელები შეურაცხყოფას აყენებდნენ იძულებით სამუშაოზე გაგზავნილ ნორვეგიელებს. დაპატიმრებულთა საქმეს გერმანელთა სამხედრო სასამართლო გაარჩევს.

საზღვარგარეთ

ბუდაპეშტის ჩრდილოეთ-დასავლეთით, 20 კილომეტრის მანძილზე, მრგვინავი გაზის აფეთქება მოხდა მაღაროში. დაიღუპა 49 მაღაროელი.

• • •

ის ბერძნები, რომელნიც ოკუპანტთა ტერორს გამოექცნენ, ადგენენ ეკიპაჟს ინგლისში ამას წინათ აგებულ საბერძნეთის საესკადრო ნაღმოსან „ადრიასისათვის".

• • •

ინგლისში ჩატარდა დაზოგვის კვირეული, რომლის შედეგადაც შეგროვებულია 9.106.226 გირვანქა სტერლინგი. დაახლოებით ერთი მესამედი ამ თანხისა შემნახველ სალაროებში ანაბრების გადიდებით არის მიღებული.

• • •

ჰონდურასის მთავრობამ შეერთებულ შტატებს მიჰყიდა მთელი კაუჩუკი, რომელიც ჰონდურასში მოჰყავთ. ხელშეკრულება ძალაშია 1946 წლამდე.

• • •

შეწყვეტილია მოლაპარაკება ახალი სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ, რომელიც უკანასკნელ ხანს სწარმოებდა ესპანეთსა და არგენტინას შორის.

მოქმედი არმია. ცხენოსანი მეზენიტეები ტყვიამფრქვევს უშენენ გერმანელთა თვითმფრინავებს. ფოტო ე. კაპიტასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ შექმნას მოითხოვს

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო (საკდესი). ამერიკის შრომის ფედერაციის ბევრი პროფკავშირი უერთდება ამ მოთხოვნას. ნიუ-იორკში ამას წინათ გამართულ მასობრივ მიტინგზე ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ გრინმა მხარი დაუჭირა მეორე ფრონტის შექმნის მოთხოვნას. 2 აგვისტოს საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის (სპკ) ჩიკაგოს პროფკავშირთა ცენტრმა მოიწვია მიტინგი, რომელსაც 30.000 კაცი დაესწრო. მიტინგზე გამოვიდა საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე ტომასი, ამ პროფკავშირის მდივანი ადესი და სხვანი.

ამავე მიტინგზე გამოვიდა ქალაქ ჩიკაგოს მერი კოლნი, წარმომადგენელთა პალატის წევრობის კანდიდატი დოუსონი და ჩიკაგოს რამდენიმე გამოჩენილი პროფკავშირული მოღვაწე.

მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ ინგლისისა და ამერიკის ჯარები დაუყოვნებლივ შეიჭრნან ევროპის კონტინენტზე.

ვაშინგტონში შესდგა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1.200 კაცმა. სიტყვა წარმოსთქვა დემოკრატმა სენატორმა პეპერმა და სხვებმა. ყველანი მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ გაიხსნას მეორე ფრონტი.

ქალაქ მილუოკის სპკ 70 პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომელნიც წარმოადგენენ 70.000 მუშას, უმთავრესად სამხედრო საწარმოთა მუშებს, მიმართეს რუზველტს დეპეშით, რომელშიც აცხადებენ: „ჩვენი ცოლ-შვილისათვის, ჩვენი კერებისათვის, ყოველივე იმისათვის, რაც ჩვენთვის ძვირფასია, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გავხსნათ მეორე ფრონტი. დაყოვნება კატასტროფას გამოიწვევს. ომი გამარჯვებით უნდა დავაგვირგვინოთ წელს".

რკინიგზელთა უდიდესი დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე უიტნი რკინიგზელთა დღესთან დაკავშირებით საბჭოთა რკინიგზელებისათვის გაგზავნილ მისალმებაში სწერს: „პროფკავშირის 178 ათასი წევრის სახელით მივესალმებით გულად საბჭოთა ხალხს მამაცური ბრძოლისათვის, რომელსაც იგი ეწევა მთელი კაცობრიობის მტრის წინააღმდეგ. იმედს გამოვთქვამთ, რომ შორს არ არის ის დღე, როცა ჰიტლერის წინააღმდეგ გაიხსნება მეორე ფრონტი, რომელიც დააჩქარებს ფაშისტ ბანდიტებზე გამარჯვებას და დააჩქარებს დამონებულ ხალხთა განთავისუფლების ჟამს".

„მხოლოდ გაბედულ მოქმედებას შეუძლია უზრუნველყოს გამარჯვება"

ამერიკული პრესა მეორე ფრონტის გახსნის აუცილებლობის შესახებ

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო (საკდესი). ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის გაზეთებთან ერთად, მრავალი ამერიკული პროვინციული გაზეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ უახლოეს ხანში გაიხსნას მეორე ფრონტი.

გაზეთი „სტეიტი" (ახალი ორლეანი) აცხადებს, „რომ შეერთებული შტატები და ინგლისი უახლოეს ხანში უნდა შეიჭრნენ კონტინენტზე საფრანგეთითა და იტალიით. მხოლოდ ასეთი გადამწყვეტი მოქმედებით შეიძლება გამარჯვების უზრუნველყოფა".

შვედური გაზეთი მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნის სასარგებლოდ ინგლისში შექმნილი განწყობილების შესახებ

სტოკჰოლმი, 5 აგვისტო (საკდესი). გაზეთ „გეტებორგს ჰანდელსტიდნინგის" ლონდონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს: „ინგლისში ყველგან იმართება ახალი დემონსტრაციები მეორე ფრონტის გახსნის სასარგებლოდ. ბევრ მომხსენებელს ციტატები მოჰყავს „პრავდის" სტატიიდან იმის შესახებ, თუ რუსეთი როგორ არაერთხელ დაეხმარა წარსულ მსოფლიო ომში მოკავშირეებს, როგორ მოითხოვდნენ ფრანგები რუსებისაგან შეტევას პარიზის გადასარჩენად და როგორ გადაარჩინა ბრუსილოვმა იტალია და ინგლის-საფრანგეთის ჯარების პოზიციები".

ამავე თემაზე მოთავსებულ მოწინავე სტატიაში გაზეთი აცხადებს: „მეორე ფრონტის საკითხში ინგლისის მთავრობას ვალდებულება აქვს ნაკისრი თავისი საკუთარი სიტყვით. მას არ შეუძლია უარი სთქვას ამაზე ინგლისის ხალხის განწყობილებასთან ან მტრის მიერ ოკუპირებული ქვეყნების ხალხთა განწყობილებასთან დაკავშირებული მოსაზრებებით. მთავრობისათვის საბედისწერო იქნებოდა, ინგლისის ხალხი რომ იმ დასკვნამდე მისულიყო, რომ მას მოქმედების უნარი არ შესწევს. ხალხს რომ ამის საწინააღმდეგო რწმენა ჩაუნერგოს, ამისათვის მთავრობამ უნდა იმოქმედოს".

ლექციები და მოხსენებები

6 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. **ბ. ჟღენტის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„მსოფლიოს მწერლები ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ"**. შესვლა თავისუფალია.

7 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **ბაქრაძის** კონსულტაცია. თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ძირითადი თავისებურებანი და ხასიათი"**.

7 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი"**.

ბილეთების მიღება შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2852869, გაცემული ნესტორ ალექსანდრეს-ძე **ჩხაიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

მუსიკალური კომედიის — 6 აგვისტოს — „ხაჯარათი", 7 აგვისტოს — „ცისფერი კლდეები", 8 აგვისტოს — „საქორწინო მოგზაურობა". **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ყოველდღე — ხასული ორკესტრი, ჯაზი, ევროპული ცეკვები, კინო ახალი პროგრამით, საბავშვო რკინიგზა, საპარკო ატრაქციონი, კარუსელი და სხვ.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და კომკავშირელი (საზაფხულო და ზამთრის) — „საბრძოლო კინოკრებული № 10". **ოქტომბერი** — „უმზითვო პატარძალი". **დამკვრელი** (ზამთრის) — „მეგობრები ხელმეორედ ხვდებიან ერთმანეთს". **სპარტაკი** — „ახალი ცხოვრებისაკენ". **ლუქსემბურგის სახ.** — საბჭოთა კინოჟურნალი № 93, საბჭოთა ჯარები ირანში. **26 კომ. სახ.** (საზაფხულო) — „ცირკი". **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „ჯადოსნური მარცვალი". **კომინტერნი** — „დაბრუნება". **მეცნიერება და ცოდნა** — „უკანასკნელი ბანაკი".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **გ. ჯიბლაძე**

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტს"

ესაჭიროება გამოცდილი ელექტრომანტიორი

პირობების გაგება შეიძლება დილის 8-დან საღამოს 5 საათამდე, ლენინის ქ. № 28, მე-3 სართული, ოთახი № 10.

ალიო მაშაშვილი ცოლშვილით თანაგრძნობას უცხადებს ი. მირცხულავას შვილის **ციურის** გარდაცვალების გამო. 994

თბილისის ქალაქპროექტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 9/VIII, 6 ს. სოფ. კულაშში დანიშნულია გიორგი ლევანის-ძე მიქელაძის დედის **ფოდოსი ონისიმეს-ასულ მიქელაძის** სამოქ. პანაშვიდი. 992

თბილისის სავიაციო ტექნიკუმის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 9/VIII, სოფ. დარკვეთში დანიშნულია ინჟინერ გრიგოლ ლულუნიშვილის მამის **იორდანე სოლომონის-ძე ლულუნიშვილის** სამოქ. პანაშვიდი. 993

ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის I სამგზავრო განყოფილების ადგილკომი იუწყება ამავე განყოფილების თანამშრომლის ნესტორ ფილიპეს-ძე მიქელაძის სიდედრის **ეკატერინე ბუჩუას-ასულ რაზმაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/VIII, 7 ს. წყაროს ქ. № 7. დაკრძალვა 7/VIII, 5 ს. 988

აჭარის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თანამშრომლები იუწყებიან ნიკოლოზ მებუკის ბიძის **ბესარიონ სიმონის-ძე ბაბილიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში, 9/VIII.

ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ბარაქა თქვენს შრომას!

ფიცხელ ბრძოლებში ჩაბმულან ჩვენი ქვეყნის ვაჟკაცები სამამულო ომის ფრონტზე; ფიცხელ შრომაში ჩაბმულან მათი მამები და დედები ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებზე, — გმირულ შრომაში და ბრძოლაში გაწრთობილი ძმობით ეტოლებიან ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის ფრონტი და ზურგი. ცხელი და დაუცხრომელი ზაფხული დასდგომია ქიზიყის დოვლათიან მინდვრებს. მუდამ ხელხვავიანი ტრაქტორი და კომბაინი უკვე გასულან მინდვრებზე უხვი სამხედრო მოსავლის ასაღებად და სადაც მათი ხელი ვერა სწვდება, ძველათ ნაცადი ცელი და ნამგალი შესევიან იორისა და ალაზნის ველებზე სამკალად შემოსულ ყანებს. მიწის რამდენი გამრჯე და გამოცდილი ხელი დროებით მოაკლდა ჩვენს სოფელს დიდი სამამულო ომის დღეებში, მაგრამ მისმა ნახნავ-ნათესმა უფრო იმატა, მისმა კალოებმა და ბეღლებმა უფრო განზე გაიწიეს... წელს სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა ორიათას რვაასი ჰექტარით მეტი მარცვლეული დასთესეს, ვიდრე შარშან, დასთესეს, რადგან შინ დარჩენილებს მუდამ ახსოვდათ, რომ ყოველი ახალი ჰექტარი ნიშნავს მათი ძმებისა და შვილების გამარჯვებას მოსისხლე მტერზე.

სამამულო ომის დაძაბულ დღეებში, როდესაც მიწას ბევრჯერ თავს არ დასტრიალებდა ნაჩვევი თვალი და ხელი, რაიონმა მაინც შესძლო დაერაზმა მთელი ხალხი, რომ ამ მიწას იმდენი პირნახული მიეცა ქვეყნისათვის, რამდენიც არ მიუცია მშვიდობიან დროსაც... ბევრი უწვერულვაშო ახალგაზრდა წელს პირველად მიუჯდა ტრაქტორის საჭეს, ბევრმა მინდორში გასულმა ქალმა წელს პირველად აიღო ნამგალი ხელში, ბევრი ღრმა მოხუცი გლეხი ისევ შემოჯდა ურმის კოფოზე, ბევრი უჩვევი ხელი ახალ საქმეს მოეჭიდა და ვინ რასაც მოჰკიდა ხელი, ყველგან და ყველაფერს სიომარი სული ჩაუდგა...

ფრონტი მოითხოვს,—უნდა შესრულდეს! ამ ფიქრით სულდგმულობს თითოეული მათგანი. ამ ფიქრით იმორჩილებენ ისინი მათთვის უცნობ იარაღსა და საქმეს, და ამ თავდადებულმა შრომამ ქიზიყელ გლეხობას კარზე მოაყენა მრავალნაყოფიერი მოსავალი.

სიღნაღის რაიონის იმ კოლმეურნეობებს შორის, რომლებიც დაწინაურდნენ უხვი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლაში, თავი ისახელეს სოფელ ქვემო-მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის" კოლმეურნეებმა. ქვემო-მაღაროელმა კოლმეურნეებმა, ამ სამაგალითო საბჭოთა პატრიოტებმა, ქვეყანას დაუმტკიცეს, თუ რა შეუძლიათ სამშობლოსათვის, დიდი სტალინისათვის თავშეფიცულ ადამიანებს, როდესაც მათი გული ომში წასული ვაჟკაცების გულთან ერთად ფეთქავს. მიუხედავად იმისა, რომ შრომელებმა სამამულო ომის ფრონტებზე მრავალი საუკეთესო ბრიგადირი და სტახანოველი კოლმეურნე, მწყემსი და მევენახე, მეურმე და ტრაქტორისტი გაგზავნეს, მათ მაინც შესძლეს არამც თუ შარშანდელზე, არამედ ყველა წინა წლებზე მეტიც მოეხნათ და დაეთესათ... თუ შარშან, როდესაც ყველანი ჯერ კიდევ შინ იყვნენ, კოლმეურნეობამ დასთესა მხოლოდ 1.420 ჰექტარი სხვადასხვა კულტურები, წელს, სამამულო ომის პირობებში, მათ შარშანდელზე 112 ჰექტარით მეტი მოხნეს და დასთესეს,—ამას გარდა 26 ჰექტარი დაზიანებული ნათესი ხელახლა დაამუშავეს, ხოლო თავდაცვის ფონდისათვის ექვსი ჰექტარი კიდევ სხვა დასთესეს. განა მარტო მემინდვრეობაში გამოირჩევიან ქვემო-მაღაროელები! ასეთივე წარმატებით მუშაობენ ისინი მესაქონლეობის დარგში. მიუხედავად ხანგრძლივი ზამთრისა და არახელსაყრელი საგაზაფხულო ამინდისა, მათმა საქონელმა მაინც თვალსაჩინოდ იმატა. მსხვილფეხა საქონელი რომ არ ვიანგარიშოთ, რომლის სულადობა აგრეთვე ჭარბად გაიზარდა წელს, მარტო ცხვრის ფერმის ნამატი შარშანდელთან შედარებით ორიათას სულს შეადგენს.

სიამაყით ივსება გული, როდესაც თვალს გადაავლებთ ქვემო - მაღაროელების თვალუწვდენელ, მძიმეთავთავიან ყანებს, გაქცევებულ ტალღებივით რომ ჩამდგარან გომბორის კალთებიდან იორის ხეობამდე. შრომელების ჩვიდმეტი ბრიგადა ეჯიბრება ერთმანეთს უხვი მოსავლის აღებაში. მწყემსი — მემინდვრეს, მომკელი—მევენახეს, მეურმე — მთიბველს, კომბაინერი—კომბაინერს ეჯიბრებიან პირველობაში, რაც მათი კარგი კაცობისა და ქალობის სახელსა და დიდებას შეადგენს.

როგორც შეფიცული მებრძოლი არ ულალატებს ბრძოლაში მეგობარს, ისე ვერ ეთმობათ ერთმანეთი მოწინავე კომბაინერ ვანო შაიშმელაშვილს და სახელგანთქმულ ტრაქტორისტს, სოფიო უსენაშვილს. საქართველოს ტრაქტორისტ ქალებში ერთი პირველთაგანი ტრაქტორისტი ამხანაგი სოფიო, შუახანს გადასული ქალი, ამ გაზაფხულზე მძიმე ავადმყოფობის გამო თავის ტრაქტორს გამოეცალა, მაგრამ როდესაც სამკელად შემოსულ ყანებში პირველად გაისმა ტრაქტორების გუგუნი, გულმა აღარ გაუძლო და თავის საყვარელ მანქანას მიაშურა. მას ძალღონე დაუბრუნა ომში წასული ვაჟიშვილის წერილმა; ომამდე იგიც ტრაქტორისტი იყო და დედას ასე სწერდა: დედა, შენ და შენმა ტრაქტორმა მანდ იცოდით, მე კი თქვენ სახელს აქ არ შევარცხვენო! და სოფიოც მოსავლის აღების პირველი დღიდანვე ტრაქტორის საჭეს მიუჯდა.

ცნობილი კომბაინერი ვანო შაიშმელაშვილი ბევრს ეცადა, რომ მის კომბაინს წინ სოფიოს ტრაქტორი გასძღოლოდა, რადგან სჯეროდა, სადაც სოფიოს მარჯვე და გამოცდილი ხელი დატრიალდებოდა, გამარჯვებაც იქ იქნებოდა. ასე ჩაებნენ მათი მანქანები მოსავლის აღებაში და არ ყოფილა შემთხვევა ტრაქტორის მიზეზით კომბაინი გამცდარიყოს.

ვანო შაიშმელაშვილმა ისე გამართა თავისი კომბაინი, რომ არც სოფიო დარჩენილა გულნაკლული, და როდესაც მუშაობის დროს ვანოს მარჯვენა ხელი დაუშავდა, არც მან მიატოვა თავისი კომბაინი, მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა მისი სამუშაოდან განთავისუფლება მოითხოვა. დაჭრილ მებრძოლსაც ასე ეძნელება ბრძოლის ველის დატოვება, როდესაც საქვეყნო საქმეს ხიფათი ემუქრება. ასე შეწყობილად მუშაობს მათი აგრეგატი, და იშვიათად გამოერევა ისეთი დღე, რომ შაიშმელაშვილმა და უსენაშვილმა დღიური გეგმა ერთიორად არ შეასრულონ. თითოეულ კოლმეურნეს სჯერა, რომ სადაც მათი მანქანები გაჩნდებიან, იქ მოსავალი დროზე იქნება აღებული.

ქარმა და ავდარმა გალაღებული ყანები ზოგან წააქცია და მიწას გააკრა. კომბაინს უძნელდება ასეთი ყანის მომკა. ამიტომ ჩაწოლილ ყანაში მომუშავე კომბაინერს ფხიზელი გულისყური და მარჯვე ხელი სჭირდება, რომ მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს,—და კომბაინერ გიორგი ბერულაშვილსაც ქვემო-მაღაროელები იმიტომ აქებენ, რომ სადაც მისი კომბაინი გაივლის, იქ არც ისე ხშირად ტრიალებს ნამგალი ჩარჩენილი პურის ამოსამკელად. დღეში საშუალოდ 15 ჰექტარი—აი როგორ უპასუხებს გიორგი ბერულაშვილი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მოსავლის აღების შესახებ.

ძველ კომბაინერებს მხარდამხარ მისდევს ნინო ბაბაკიშვილი. იგი წელს პირველად მართავს კომბაინს, მაგრამ უკვე ისე დაიმორჩილა ეს რთული მანქანა, როგორც შეჰფერის ქართველ დედას, რომელსაც შვილი სამშობლოს დასაცავად გაუგზავნია. ნინოს ღრმად სჯერა, რომ რაც უფრო უკეთესად იმუშავებს მისი კომბაინი, მით უფრო მალე დაუბრუნდება შინ ომში წასული საყვარელი ვაჟიშვილი...

და განა მარტო ნინო! ყველა დედასა და მამას ერთი წადილი ასულდგმულებს, — იმუშაონ ისე, როგორც არასდროს, რომ დააჩქარონ ჩვენს ქვეყანაში შემოსეულა ფაშისტური ურდოების განადგურება.

კოლმეურნეობა „შრომის" ბრიგადებს შორის ჯერჯერობით პირველობს მერვე ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი კოლმეურნე ალექსი მათეშვილი მეთაურობს. ამ ბრიგადაში გულისყურით ეკიდებიან მინდორზე თითოეულ ახლად გამოსულ ადამიანს, მათ შეძლებისდაგვარად უფარდებენ საქმეს, ეხმარებიან და ასწავლიან მიწის დამუშავების ოსტატობას. შრომის ასეთმა მოწესრიგებამ ნაყოფიც მალე გამოიღო. მერვე ბრიგადა პირველი იყო, რომელმაც ნახევარზე მეტი მოსავალი უკვე აიღო თავის ნაკვეთებზე. მათი მოსავალი თითოეულ ჰექტარზე 15-18 ცენტნერამდე ავიდა. ამ ბრიგადაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ვასო ჩერქეზიშვილმა, ელო კანიკაშვილმა, ვერა კანიკაშვილმა და სხვებმა.

მაგრამ სამშობლოსადმი სიყვარულის, საკოლმეურნეო წყობილებისადმი ერთგულების იშვიათი მაგალითი გვიჩვენა ნინო და ალექსი ძნელაშვილების ოჯახმა. ამ მოხუც მშობლებს სამი ვაჟიშვილი ჰყავდათ, სამივე სამამულო ომში გაგზავნეს და თვითონ შვილების საქმეს მოჰკიდეს ხელი. 70 წლის მოხუცმა ალექსიმ 15 ივლისამდე 267 შრომადღე გამოიმუშავა, ხოლო მისი ცოლი ნინო, რომელიც ამავე დროს ოჯახსაც უვლიდა, მკაშიც გამოვიდა და უკვე შემატა ქვეყანას 60 შრომადღის ნამუშევარი. ალექსი ძნელაშვილს მხარს უმშვენებს მასავით მხნე და მასავით მოხუცი გლეხი, ორი მებრძოლის მამა, ნიკა ბოლოაშვილი, რომელმაც 340 შრომადღე გამოიმუშავა.

მოხუცებს არც მოზარდები ჩამორჩებიან. ქვემო-მაღაროელებს მუდმივად ეხმარება 180 მოზარდი თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე. მათ გაფაციცებულ თვალსა და ხელს იშვიათად გამოეპარება ნამჯობში ჩარჩენილი თავთავი. ზოგიერთი მათგანი 10-12 კილოგრამ ხორბალს აგროვებს დღეში. ისინი ერთვებიან ისეთ რთულ სამუშაოებსაც, როგორიცაა მეურმეობა, კომბაინის ბუნკერიდან ხორბლის გადმოცლა, მისი აწონვა და კალოზე დახვავება. ეზიდებიან წყალსა და საწვავს, სთოხნიან და რწყავენ კალოებს, აკეთებენ ყველაფერს, რაც მათ კოლმეურნეობას მოსავლის დროზე აღებას უადვილებს. მოზარდებში მუყაითობით გამოირჩევიან მეექვსე კლასის მოწაფე მიტო ვარსიმაშვილი, რომელმაც თითქმის შესცვალა ჯარში წასული მამა და მარტო გაზაფხულზე ასი შრომადღე გამოიმუშავა. ბეჯითად მუშაობენ მოსწავლენი შოთა ჯოდერძიშვილი, ილო ჯებირაშვილი, ქენია მათეშვილი და სხვები, რომელთაგან თითოეულმა 60-დან 120-მდე შრომადღე უკვე შეათავა ივლისის 15-მდე.

კოლმეურნეობის სიამაყეა ორი მებრძოლის დედა თამარ შაიშმელაშვილი, რომელიც, მიუხედავად სიბერისა, მომკელ ქალთა რგოლს მეთაურობს და თავისი მაგალითით რაზმავს და ამხნევებს ომში წასულთა დედებსა და ცოლებს. მკაში და თოხნაში მის მიერ დაგროვებული ასი მადლიანი შრომადღე,—ეს იგივეა ასი ლახვარია მტრისთვის ჩაცემული. კარგი შვილების დედას მადლობის მეტი რა ეთქმის ხალხისგან, და თამარ შაიშმელაშვილსაც მადლობითა და სიყვარულით სავსე წერილი მოუვიდა ფრონტიდან, მისი უფროსი ვაჟის გვერდით მებრძოლი ამხანაგებისაგან:

„გილოცავთ თქვენი შვილის შალვას დაჯილდოებას მედალით „საბრძოლო დამსახურებისათვის". თქვენმა შვილმა, როგორც სოციალისტურ სამშობლოს ერთგულმა დამცველმა, ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილმა ვაჟკაცმა, თავი ისახელა, როგორც მამაცმა, შეუდრეკელმა მებრძოლმა ცოფიანი ფაშისტი ძაღლების განადგურებისათვის ბრძოლებში. ჩვენ, მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, ვამაყობთ და ჩვენთან ერთად მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლო იამაყებს თქვენი შვილის სახელით. გთხოვთ თქვენ და თქვენს ოჯახს უფრო კარგად იმუშაოთ საკოლმეურნეო მინდვრებზე, როგორც შეჰფერის საბჭოთა პატრიოტებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს გამარჯვებისათვის. ვერაგი და დაუნდობელი მტერი განადგურებული იქნება... გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

მებრძოლების, მეთაურების და პოლიტმუშაკების დავალებით ასეულის მეთაური გორბატოვი, პოლიტხელი როდიონოვი, მებრძოლები გეხანოვი, ოტოროჩენკო, უტესოვი, მონახოვი, გლუშინსკი".

ასე სწერენ შალვა შაიშმელაშვილის მადლიერი ამხანაგები ქართველ დედას, რომელიც შვილთან ერთად სჭედავს ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას მუხანათ მტერზე.

კარგად დათესილი ყანა კარგად უნდა მოიმკას და დაბინავდეს,—ეს მუდამ ახსოვს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გიორგი შაიშმელაშვილს, რომლის გამჭრიახი თვალი და გამოცდილი ხელი ყველგან ტრიალებს, სადაც საქმეს რაიმე დაბრკოლება გადაეღობება. მისი დაუღალავი მუშაობის შედეგია, რომ კოლმეურნეობა „შრომამ" უკვე დასძრა ქარავნები სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩასაბარებლად.

და განა მარტო ქვემო-მაღაროელებმა! სიღნაღის რაიონის გზებზე დიდი ხანია დაიძრნენ ურმები და მანქანები. ისინი განუწყვეტლივ მიეზიდებიან ქვეყნისა და ფრონტისათვის უხვი სამხედრო მოსავლის პირველ ხვავს. იორის ხეობიდან ალაზნის პირამდე დღედაღამ ღვიძავთ გზებსა და კალოებს, მანქანებსა და ადამიანებს, და მთელი ხალხი ფეხზე დამდგარა—როგორც სამამულო ომის ფრონტებზე დგანან მებრძოლები ჩვენი წმინდათა-წმინდა მიწა-წყლის დასაცავად.

ბარაქა თქვენს შრომას, ქიზიყის მადლიანო მინდვრებო, ქიზიყელო კოლმეურნეებო, დედებო, მამებო, ძმებო და დებო! თქვენი პირნახულის თითოეული მარცვალი ისე არ დაიკარგება, როგორც ბრძოლის ველზე არ იკარგება თქვენი შვილებისა და ძმების მიერ თითოეული ნასროლი ტყვია.

ბარაქა თქვენს შრომას!

მინდორში „ნაომარი"

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 5998